

შპს “აგრონომი”

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2024 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება -ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	5
კაპიტალის მოძრაობის უწყისი	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა -განმარტებითი შენიშვნები.....	7
5 .ძირითადი საშუალებები.....	15
6. არამატერიალური აქტივები	16
7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	16
8. მარაგები.....	17
9. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	17
10. სასესხო ვალდებულებები.....	17
11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	17
12. ამონაგები.....	18
13. თვითღირებულება	18
14. სხვა შემოსავლები	18
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18
16. მიწოდების დანახარჯები.....	19
17. სხვა ხარჯები	19
18. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები).....	19
19. მოგების გადასახადი	20
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	20
21. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები.....	20
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	22

შპს აგრონომი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „აგრონომი“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს.

დირექტორი

2025 წლის 1 ოქტომბერი

საქართველო, თბილისი

ფინანსური მენეჯერი

2025 წლის 1 ოქტომბერი

საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს აგრონომი-ს მფლობელებსა და დირექტორებს:

პირობითი მოსაზრება

მე ჩავატარე შპს აგრონომი-ს („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩემი აზრით, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხისა, მოცემული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების მცირე და საშუალო საწარმოების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივარ. მე ვერ შევძელი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ასევე მე ვერ შევძელი აღნიშნული მარაგების ღირებულების სისწორეში დარწმუნება. ვინაიდან მარაგების ნაშთები, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, მე ვერ შევძელი იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებში ასახული მოგების და შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივარ. მე ვერ შევძელი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფლობილი ძირითადი საშუალებების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ასევე მე ვერ შევძელი აღნიშნული ძირითადი საშუალებების ღირებულებების სისწორეში დარწმუნება. ვინაიდან ძირითადი საშუალებების ნაშთები, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, მე ვერ შევძელი იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებში ასახული მოგების და შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩემი პასუხისმგებლობა განმარტებულია ამ ანგარიშის ქვეთავში

„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. მე ვმოქმედებდი კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩემს მიერ შესრულებული ეთიკური

ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ-ის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. მეი ღრმა რწმენით, მე მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულები არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩემი ამოცანაა, მოვიპოვო იმის საფუძველიანი რწმუნებულება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, გავცე ჩემი თვალსაზრისის გამომხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძველიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

მე ამოვიცნობ და ვაფასებ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავ და ვატარებ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩემი დასკვნის. რისკი იმისა რომ ვერ აღმოვაჩინო თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია, ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიო შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნი წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად, მოპოვებული აუდიტორული

მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩემი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, მე ვალდებული ვარ, ჩემ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილო ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალო კიდეც დასკვნა. ჩემი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

- ვაფასებ ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, მე ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დავით კილაძე

აუდიტორი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-552198

2025 წლის 1 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო

შპს „აგრონომი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	3 288 025	3 224 523	2 049 030
არამატერიალური აქტივები	6	51 438	56 897	54 590
სულ გრძელვადიანი აქტივები		3 339 463	3 281 419	2 103 620
მოკლევადიანი აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	3 882 202	4 843 910	3 976 239
მარაგები	8	8 228 665	5 952 870	5 155 414
საგადასახადო აქტივები		112 486	15 242	19 479
სხვა დარიცხული მოთხოვნები		1 562	7 208	5 237
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	9	134 699	888 197	486 059
სულ მოკლევადიანი აქტივები		12 359 615	11 707 427	9 642 427
მთლიანი აქტივები		15 699 077	14 988 847	11 746 047
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		418	537 844	629 044
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		9 130 162	7 017 737	6 081 058
გადაფასების რეზერვი		-	-	-
სულ კაპიტალი		9 130 580	7 555 581	6 710 102
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები	10	1 260 643	4 893 106	718 916
		1 260 643	4 893 106	718 916
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	10	3 463 424	-	3 051 171
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	1 810 702	2 540 160	1 265 857
გადასახდელი პროცენტი		33 728		
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5 307 854	2 540 160	4 317 029
მთლიანი ვალდებულებები		6 568 498	7 433 266	5 035 945
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		15 699 077	14 988 847	11 746 047
თანხები მოცემულია ლარში				

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

7-22 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს “აგრონომი”

მოგება -ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	12	16 432 916	18 678 694
თვითღირებულება	13	(10 240 004)	(13 215 017)
		-	
საერთო მოგება		6 192 913	5 463 677
		-	
სხვა შემოსავლები	14	259 520	298 107
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(3 145 117)	(2 724 742)
მიწოდების დანახარჯები	16	(103 992)	(94 460)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		33 441	5 615
სხვა ხარჯები	17	(678 305)	(559 017)
		-	
საოპერაციო მოგება		2 558 460	2 389 180
		-	
ფინანსური შემოსავალი		680	30 059
ფინანსური ხარჯი		(411 569)	(318 474)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	18	(410 889)	(288 415)
მოგება დაბეგვრამდე		2 147 570	2 100 766
მოგების გადასახადი		(10 340)	(174 613)
წმინდა მოგება		2 137 230	1 926 153
მთლიანი სრული შემოსავალი		2 137 230	1 926 153

2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

7-22 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს “აგრონომი”

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		2 137 230	1 926 153
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:		659 955	641 312
- გადასახადები		10 340	174 613
- ცვეთა	5	266 520	185 871
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		5 060	93
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან		(33 441)	(5 615)
- წმინდა ფინანსური ხარჯი		411 475	286 350
- დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი		-	-
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		(2 140 789)	(386 589)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		961 708	(867 672)
- მარაგები		(2 275 795)	(797 457)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		(729 458)	1 274 302
- საგადასახადო აქტივები		(97 244)	4 237
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები			
- მიღებული პროცენტი		680	30 059
- გადახდილი პროცენტები		(377 841)	(318 474)
- გადახდილი მოგების გადასახადი		(10 340)	(174 613)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		268 894	1 717 848
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
- ძირითადი საშუალებების შეძენა		(321 816)	(1 363 671)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები		-	-
- არამატერიალური აქტივების შეძენა		(2 748)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(324 564)	(1 363 671)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		(537 426)	(91 200)
- სასესხო ვალდებულების ზრდა		3 463 424	4 174 190
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა		(3 632 463)	(3 051 171)
- გადახდილი დივიდენდები		(24 805)	(989 474)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(731 270)	42 345
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)			
		(786 939)	396 522
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი			
		888 197	486 059
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება		33 441	5 615
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი			
		134 699	888 197

2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

7-22 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს “აგრონომი”

კაპიტალის მოძრაობის უწყისი
თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 1 იანვარი	629 044	6 081 058	6 710 102
სხვა სრული შემოსავალი		1 926 153	1 926 153
სხვა სრული შემოსავალი			-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1 926 153	1 926 153
გაცემული დივიდენდები	-	(989 474)	(989 474)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(91 200)		(91 200)
2023 წლის 31 დეკემბერი	537 844	7 017 737	7 555 581
წლის სრული შემოსავალი		2 137 230	2 137 230
სხვა სრული შემოსავალი			-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	2 137 230	2 137 230
გაცემული დივიდენდები	-	(24 805)	(24 805)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(537 426)		(537 426)
2024 წლის 31 დეკემბერი	418	9 130 162	9 130 580

2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

7-22 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა -განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში 2008 წლის 06 ივნისს და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი - 200265319.

კომპანიის 100%-იანი დამფუძნებელი იყო თამაზ ჩადუნელი (პნ01013019728), 2025 წლის 6 აგვისტოს ცვლილებით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი გახდა სოფიკო ხოფერია (პნ26001003129).

კომპანიის დირექტორია: სოფიკო ხოფერია (პნ26001003129)

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ქიმიური (შხამ-ქიმიკატები, სასუქები, პერბიციდები და სხვა) საშუალებების, ასევე სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი მცირე ტექნიკის იმპორტი და რეალიზაცია საქართველოში, სავაჭრო მაღაზიები განთავსებულია, ქ. თბილისში, ქ. ზესტაფონში, საგარეჯოში, ბოლნისში და თელავში.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31.12.2024	31.12.2023
USD/GEL	2.8068	2.6832
EUR/GEL	2.9306	2.9753

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე ასევე სამართლებრივ მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის ("ზასს") მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის ("ფაისკ") მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს მთელზე თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მენეჯმენტმა მოამზადა ფინანსური ანგარიშგება განგრძობითი საწარმოს საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის მიმდინარე აქტივები (12 359 614,50 ლარი) 7 051 760,20 ლარით აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს (5 307 854,30 ლარი).

კომპანიას 2024 წელი დასრულებული აქვს მოგებით - 2 137 230 ლარი; კომპანიას მიმდინარე წლის საქონლის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები საშუალებას აძლევს დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები და აანაზღაუროს მიმდინარე საოპერაციო ხარჯები. გარდა ამისა მიმდინარე ეტაპზე კომპანიას გააჩნია წინა პერიოდში დაგროვილი საკმარისი ფინანსური რესურსი, რომელიც 2024 წლის მონაცემების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს 2025 წლის დარჩენილი პერიოდის ხარჯების დაფარვას.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების კომბინაცია კომპანიისთვის უზრუნველყოფს აუცილებელ ლიკვიდურობას, თავისი ოპერაციების გასაგრძელებლად 2025 წლის შემდგომ პერიოდშიც.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი საზომი პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას. იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად რომლებისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე ან ინვესტირების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების

7-22 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს რომელსაც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში შემოსავალში მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი რომელიც არ გაიწეოდა ტრანზაქცია რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანაშრომლის ჩათვლით) მრჩეველის ბროკერის და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწრა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულების და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით) ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივაციული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით შედის მიმდინარე აქტივებში 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

7-22 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა ან რეალიზაცია რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით კერძოდ თარიღით როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც

ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება;

ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში როდესაც

1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს ან

2) არც გადასცემს მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“) რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;

- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;

- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე;

- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად. თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები იმის მიუხადავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის რეალიზაცია მოსალოდნელი. თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება

7-22 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება) მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანაგარიშების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანმოვლენები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ როდესაც არსებობს საფუძველი რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალისანგარიშებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენჯმენტი აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

მიწა არ იცვითება. ცვეთა ძირითად საშუალებებზე და საინვესტიციო ქონებაზე გამოითვლება ნარჩენი ღირებულების მეთოდით რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო ვადა (წელი)	
შენობები	20
ნაგებობები	20
მანქანა დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
სატრასპორტო საშუალებები	5
სხვა ძირითადი საშუალებები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდოდ ღირებულება რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღირიცხება მიღებული ან მისაღები ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს წმინდა მისაღებ თანხებს მიწოდებული საქონლისთვის ან გაწეული მომსახურებისათვის საქონლისთვის ფასდათმობის უკან დაბრუნების და დამატებული ღირებულების გადასახადების გათვალისწინებით

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში თუ არა როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში იმ შემთხვევის გარდა როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები მოგების გარდა აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს იქიდან გამომდინარე რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და წმინდა საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

7-22 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად როდესაც საქონელი ან მომსახურება რომელიც სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლისმიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი რომ ვერ მოხდება საქონლის მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

ცვლილებები საწესდებო კაპიტალში

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 წლის განმავლობაში პარტნიორის გადაწყვეტილებით შემცირდა. - საწესდებო კაპიტალიდან გატანილი იქნა 537 426 ლარი და საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 418 ლარი. აღსანიშნავია, რომ საწესდებო კაპიტალის შევსება განხორციელებული იყო დამფუძნებლის ფულადი შენატანებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას რომელიც გავლენას ახდენს მოგების ხარჯების აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება მოსალოდნელი წარმადობა სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილმონაცემებზე.

5 .ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელ ი მშენებლობა	შენობები	ნაგებობები	მანქანა– დანადგარე ბი	ოფისის აღჭურვილობ ა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტ ო საშუალებები	ძირითადი საშუალებები ს მარაგები	სულ
31 დეკემბერი 2022	107 945	560 399	1 352 997	13 913	-	68 140	205 702	338 824	-	2 647 920
შემოსვლა	70 115	148 723	1 760 574		297	5 662	51 489	22 050	3 813	2 062 722
გადაფასება										-
გასვლა		(709 122)					-	-		(709 122)
31 დეკემბერი 2023	178 060	-	3 113 571	13 913	297	73 802	257 191	360 874	3 813	4 001 520
შემოსვლა	91 630		111 289			15 641	45 342	57 914		321 816
გადაფასება										-
გასვლა			(100 331)							(100 331)
31 დეკემბერი 2024	269 690	-	3 124 530	13 913	297	89 443	302 533	418 788	3 813	4 223 005
ცვეთა და გაუფასურება										-
31 დეკემბერი 2022	-	-	(304 333)	(7 479)	-	(60 154)	(111 977)	(114 947)	-	(598 890)
პერიოდის ცვეთა			(92 607)	(2 780)	(28)	(2 232)	(28 975)	(51 943)		(178 565)
გასვლა								459		459
31 დეკემბერი 2023	-	-	(396 940)	(10 259)	(28)	(62 387)	(140 952)	(166 431)	-	(776 997)
პერიოდის ცვეთა			(169 190)	(2 561)	(30)	(1 965)	(33 026)	(51 542)		(258 314)
გასვლა			100 331							100 331
31 დეკემბერი 2024	-	-	(465 799)	(12 821)	(57)	(64 352)	(173 979)	(217 973)	-	(934 980)
წმინდა საბალანსო ღირებულება										-
31 დეკემბერი 2024	178 060	-	2 716 631	3 654	269	11 415	116 239	194 443	3 813	3 224 523
31 დეკემბერი 2024	269 690	-	2 658 730	1 092	239	25 091	128 554	200 815	3 813	3 288 025

7-22 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

6. არამატერიალური აქტივები

	პატენტები	სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	სულ
31 დეკემბერი 2022	64 166	25 992	90 158
შემოსვლა	10 071		10 071
გადაფასება			-
გასვლა			-
31 დეკემბერი 2023	74 237	25 992	100 229
შემოსვლა	2 748		2 748
გადაფასება			-
გასვლა			-
31 დეკემბერი 2024	76 984	25 992	102 976
ამორტიზაცია და გაუფასურება			-
31 დეკემბერი 2022	(22 811)	(12 756)	(35 568)
პერიოდის ამორტიზაცია	(6 869)	(896)	(7 765)
გასვლა			-
31 დეკემბერი 2023	(29 680)	(13 652)	(43 332)
პერიოდის ამორტიზაცია	(7 463)	(743)	(8 206)
გასვლა			-
31 დეკემბერი 2024	(37 143)	(14 395)	(51 538)
წმინდა საბალანსო ღირებულება			-
31 დეკემბერი 2023	44 556	12 340	56 897
31 დეკემბერი 2024	39 841	11 597	51 438

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1 919 483	2 005 067	2 567 382
საექვო ვალების რეზერვი	239 426	239 426	
მოთხოვნები ბანკებიდან	0	50	0
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	(115)	616	(20 701)
მოთხოვნები თანამშრომლებზე გაცემული სესხიდან	0	0	300
მოთხოვნები ორგანიზაციებზე გაცემული სესხიდან	7 306	32 306	7 306
მოთხოვნები მივლინებაზე გაცემული თანხებიდან	2 469		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1 713 633	2 566 445	1 421 951
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3 882 202	4 843 910	3 976 239

8. მარაგები

- სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
საქონელი	8 115 662	5 829 838	4 953 406
ნედლეული და მასალები	11 915	47 014	74 184
მზა პროდუქცია		0	0
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	62 897	9 035	41 459
სარეკლამო მასალები	17 439	17 439	16 371
წარმოებაზე დარიცხვების ტრანზიტული ანგარიში	20 753	49 543	69 993
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8 228 665	5 952 870	5 155 414

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	11 478	21 683	5 917
კონვერტაციის სატრანზიტო ანგარიში		0	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	121 115	183 063	134 179
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2 106	683 451	345 963
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	134 699	888 197	486 059

10. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოკლევადიანი სესხები	3 463 424	0	3 051 171
გრძელვადიანი სესხები	1 260 643	4 893 106	718 916
სულ სასესხო ვალდებულებები	4 724 068	4 893 106	3 770 087

11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	1 569 476	2 287 735	1 142 735
მიღებული ავანსები	62 566	62 566	61 227
გადახდილი ხელფასები	54 743	189 859	61 896
საბაჟო ვალდებულებები	123 917	0	0
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1 810 702	2 540 160	1 265 857

12. ამონაგები

საქმიანობიდან გამომდინარე კომპანიას აქვს დღგ-ით დასაბეგრი, ასევე დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ოპერაციები. კომპანიის ძირითად შემოსავალს შეადგენს სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მხამქიმკატებით ვაჭრობა.

საოპერაციო შემოსავლები	2024	2023
შემოსავლები პროდუქციის რეალიზაციიდან	16 432 916	18 678 694
სულ საოპერაციო შემოსავლები	16 432 916	18 678 694

13. თვითღირებულება

თვითღირებულება მოიცავს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას და თვითღირებულებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ხარჯებს.

თვითღირებულება	2024	2023
გაყიდულ საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები	10 240 004	13 215 017
სულ თვითღირებულება	10 240 004	13 215 017

14. სხვა შემოსავლები

ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები)	2024	2023
გადაფასებით მიღებული შემოსავალი	246 900	253 400
კონვერტაციის შემოსავალი	6 269	12 655
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1 136	32 052
განსაკუთრებული შემოსავლები	5 215	
სულ ფინანსური შემოსავლები	259 520	298 107

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
ცვეთა და ამორტიზაცია	266 520	185 871
შრომის ანაზღაურება	1 543 443	1 304 152
მენეჯერის ბონუსი	590 561	573 362
სოციალური დანარიცხები	42 418	34 990
საიჯარო ქირა	111 921	59 265
კომუნიკაციის ხარჯები	19 094	18 082
კომუნალური ხარჯები	48 946	40 841
დაზღვევა	69 755	64 925
სამივლინებო ხარჯები	1 490	2 268
რემონტი	11 679	14 221
კომპიუტერის ხარჯები	2 437	1 126
საკონსულტაციო ხარჯები	43 506	49 875
სხვა საგადასახადო ხარჯი	0	0
საბანკო მომსახურება	26 190	49 003
სხვა საერთო ხარჯი	277 949	227 450

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3 145 117	2 724 742
--	------------------	------------------

16. მიწოდების დანახარჯები

მიწოდების დანახარჯები მოიცავს საანგარიშო წლის განმავლობაში გაწეულ ტრანსპორტირებასთან და მასალების დასაწყობებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

მიწოდების დანახარჯები	2024	2023
რეკლამის ხარჯები	15 340	3 827
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	13 204	7 240
მიწოდების სხვა ხარჯები	75 448	83 394
სულ მიწოდების დანახარჯები	103 992	94 460

17. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები	2024	2023
გადაფასებით მიღებული ზარალი	388 366	203 380
კონვერტაციის ხარჯი	97 151	126 095
სხვა არასაოპერაციო ზარალი	5 060	93
დებიტორული დავალიანების ჩამოწერა	41 834	
ჯარიმები და საურავები	4 280	2 720
პროპორციით ჩაუთვლელი დღგ	141 613	226 729
სულ სხვა ხარჯები	678 305	559 017

18. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები)

ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები)	2024	2023
საპროცენტო შემოსავლები	680	18 369
პირგასამტეხლო	0	11 690
სულ ფინანსური შემოსავლები	680	30 059
საპროცენტო ხარჯები	(411 569)	(318 474)
სულ ფინანსური ხარჯი	(410 889)	(288 415)

19. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება მსს ფასს სტანდარტის მოდული 29-ის „მოგების გადასახადი“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია მსს ფასს სტანდარტის 33-ე განყოფილების - „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით. დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ:

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული თანხები

	2024 წლის
	31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დირექტორატისთვის გადახდილი ხელფასი	115 264
დამფუძნებლებზე გაცემული დივიდენდები	24 805
სულ დაკავშირებულ მხარეებზე გადახდილი ხელფასი და სხვა სარგებელი	140 069

21. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და

გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას ასევე შესაძლებელია რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა მომავალში გახდეს დავის საგანი რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად არ მომხდარა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება ფინანსური საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს) ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით როდესაც კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე მოხდა ცვლილება კომპანიის დამფუძნებლებში. კომპანიის 100%იანი წილის მფლობელი იყო თამაზ ჩადუნელი, 2025 წლის 6 აგვისტოს ცვლილებით კომპანიის 100%იანი წილის მფლობელი გახდა სოფიკო ხოფერია.

შპს აგრონომი

მმართველობითი ანგარიშგება და
2024 წლის საქმიანობის მიმოხილვა

დამოუკიდებელი
აუდიტორის მოსაზრებასთან
ერთად

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება	3
ჩვენ შესახებ	4
კომპანია	4
საქმიანობის მიმოხილვა	4
ფინანსური მაჩვენებლები.....	5
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	5

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს აგრონომი მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

მე ჩავატარე შპს „აგრონომი“-ს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „აგრონომი“-ს მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „აგრონომი“. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობითი ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორს.

მოსაზრების საფუძველი

მე წარმართავდი აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩემი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩემი აზრით, ჩემს მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩემი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩემი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

დავით კილაძე

აუდიტორი

2025 წელი, თბილისი, საქართველო

კომპანია

შპს აგრონომი („კომპანია“) დაარსდა 2008 წლის 6 ივნისს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელი იყო დავით ჩადუნელი
100%-იანი წილით.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს იმპორტი და საბითუმო საცალო რეალიზაცია სასუქებით ,აგროქიმიური პესტიციდებით,მცირე ტექნიკით და სათესლე მასალებით .

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია ო.ონიაშვილის 25/27თბილისი, საქართველო.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

დასაქმებულთა რაოდენობა. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 50 და 55 თანამშრომელი, შესაბამისად.

2023 და 2022 წლების განმავლობაში კომპანიაში დასაქმებული იყო საშუალოდ 45 და 50 თანამშრომელი, შესაბამისად.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს აგრონომი, ს/ნ 200265319 ბაზარზე ოპერირებს 2008 წლიდან. მისი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს იმპორტი და საბითუმო საცალო რეალიზაცია სასუქებით ,აგროქიმიური პესტიციდებით,მცირე ტექნიკით და სათესლე მასალებით.

კომპანია ძირითადი მომხმარებლებია არის საქართველოში არსებული ფერმერები.

კომპანიის მსხვილ მომწოდებლებს წარმოადგენენ: ჩინური, თურქული, ჰოლანდიური, ესპანური კომპანიები.

ფინანსური მაჩვენებლები

2024 წელს კომპანიამ მიიღო 16 432 916 ლარის შემოსავალი, ხოლო 2023 წელს ანალოგიური მაჩვენებლის მნიშვნელობა იყო 18 678 694 ლარი. 2024 წლის მოგება შეადგენს 2 137 230 ლარს, ხოლო 2023 წლის მოგება - 1 926 153 ლარს. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის შემოსავლები შემცირებულია, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი კომპანიის მოგება და კომპანიის ფინანსური შედეგი გაუმჯობესებულია 2024 წელს წინა წელთან შედარებით. ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი სტაბილურია და დაკავშირებულია ბაზარზე პოზიციების გამყარებაზე. მენეჯმენტი ასევე ვარაუდობს მომდევნო პერიოდში აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ზრდას.

2024 წელს 2023 წელთან შედარებით გაზრდილია როგორც საოპერაციო მოგების მარჟა ისე სარეალიზაციო მოგების მარჟა, ლიკვიდობის კოეფიციენტები დამაკმაყოფილებელ ნიშნულზეა, რაც კომპანიის აქტივობაზე მიუთითებს.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე კომპანიის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,882,202	4,843,910
ფული და ფულის ექვივალენტები	134,699	888,197
სულ საკრედიტო რისკი	4,016,901	5,732,107

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტთან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული

იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის “მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები”, როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) გამოკლებული ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც “კაპიტალი”, როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში დამატებული წმინდა ვალი.

	31.დეკ.24	31.დეკ.23
სულ სესხები	4 724 068	4 893 106
ფული და ფულის ეკვივალენტები	(134 699)	(125,873)
წმინდა სესხები	4 589 368	4 892 980
სულ კაპიტალი	9 130 580	7 555 581
წმინდა სესხების თანაფარდობა კაპიტალთან	50%	65%

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულ განაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს, რომელიც მას სჭირდება რწმუნებისთვის, რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება მომწოდებლების კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად. კომპანიას აქვს განზრახული, რომ მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის - დაფაროს სხვა არაურთიერდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება - გაუარესების გარეშე.

კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად აკვირდება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და შესაბამისი ღონისძიებების მეშვეობით ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ეკონომიკური და პოლიტიკური ტურბულენტობის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

დირექტორი:

სოფიკო ხოფერია

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება მომწოდებლების კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად. კომპანიას აქვს განზრახული, რომ მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის - დაფაროს სხვა არაურთიერთდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება - გაუარესების გარეშე.

კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად აკვირდება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და შესაბამისი ღონისძიებების მეშვეობით ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ეკონომიკური და პოლიტიკური ტურბულენტობის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

დირექტორი:

სოფიკო ხოფერია



შპს აგრონომი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „აგრონომი“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო სწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს.


დირექტორი


ფინანსური მენეჯერი

2025 წლის 1 ოქტომბერი
საქართველო, თბილისი

2025 წლის 1 ოქტომბერი
საქართველო, თბილისი


შპს „აგრონომი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	3 288 025	3 224 523	2 049 030
არამატერიალური აქტივები	6	51 438	56 897	54 590
სულ გრძელვადიანი აქტივები		3 339 463	3 281 419	2 103 620
მოკლევადიანი აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	3 882 202	4 843 910	3 976 239
მარაგები	8	8 228 665	5 952 870	5 155 414
საგადასახადო აქტივები		112 486	15 242	19 479
სხვა დარიცხული მოთხოვნები		1 562	7 208	5 237
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	9	134 699	888 197	486 059
სულ მოკლევადიანი აქტივები		12 359 615	11 707 427	9 642 427
მთლიანი აქტივები		15 699 077	14 988 847	11 746 047
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		418	537 844	629 044
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		9 130 162	7 017 737	6 081 058
გადაფასების რეზერვი		-	-	-
სულ კაპიტალი		9 130 580	7 555 581	6 710 102
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები	10	1 260 643	4 893 106	718 916
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	10	3 463 424	-	3 051 171
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	1 810 702	2 540 160	1 265 857
გადასახდელი პროცენტი		33 728	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5 307 854	2 540 160	4 317 029
მთლიანი ვალდებულებები		6 568 498	7 433 266	5 035 945
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		15 699 077	14 988 847	11 746 047
თანხები მოცემულია ლარში				

2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს.

მენეჯმენტის სახელით:



დირექტორი



მთ. ბუღალტერი

7-22 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს "აგრონომი"

მოგება -ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	12	16 432 916	18 678 694
თვითღირებულება	13	(10 240 004)	(13 215 017)
		6 192 913	5 463 677
საერთო მოგება		-	-
სხვა შემოსავლები	14	259 520	298 107
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(3 145 117)	(2 724 742)
მიწოდების დანახარჯები	16	(103 992)	(94 460)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	17	33 441	5 615
სხვა ხარჯები		(678 305)	(559 017)
		2 558 460	2 389 180
საოპერაციო მოგება		-	-
ფინანსური შემოსავალი		680	30 059
ფინანსური ხარჯი		(411 569)	(318 474)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	18	(410 889)	(288 415)
		2 147 570	2 100 766
მოგება დაზღვევამდე		(10 340)	(174 613)
მოგების გადასახადი		2 137 230	1 926 153
წმინდა მოგება		2 137 230	1 926 153
მთლიანი სრული შემოსავალი		2 137 230	1 926 153

2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს.

მენეჯმენტის სახელით:



დირექტორი



მთ. ბუღალტერი

7-22 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.


შპს "აგრონომი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		2 137 230	1 926 153
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:		659 955	641 312
- გადასახადები	5	10 340	174 613
- ცვეთა		266 520	185 871
- (შემოსულობა)/ზარალი მირითადი საშუალებების გასვლიდან		5 060	93
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან		(33 441)	(5 615)
- წმინდა ფინანსური ხარჯი		411 475	286 350
- დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი		-	-
		(2 140 789)	(386 589)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		961 708	(867 672)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		(2 275 795)	(797 457)
- მარაგები		(729 458)	1 274 302
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		(97 244)	4 237
- საგადასახადო აქტივები			
		656 396	2 180 876
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		680	30 059
- მიღებული პროცენტი		(377 841)	(318 474)
- გადახდილი პროცენტები		(10 340)	(174 613)
- გადახდილი მოგების გადასახადი			
		268 894	1 717 848
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(321 816)	(1 363 671)
- მირითადი საშუალებების შეძენა		-	-
- მირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები		(2 748)	-
- არამატერიალური აქტივების შეძენა			
		(324 564)	(1 363 671)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(537 426)	(91 200)
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		3 463 424	4 174 190
- სასესხო ვალდებულებების ზრდა		(3 632 463)	(3 051 171)
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა		(24 805)	(989 474)
- გადახდილი დივიდენდები			
		(731 270)	42 345
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)		(786 939)	396 522
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი		888 197	486 059
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამომწვეული ცვლილება		33 441	5 615
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი		134 699	888 197

2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს.

მენეჯმენტის სახელით:





დირექტორი

მთ. ბუღალტერი

7-22 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს "აგრონომი"

კაპიტალის მოძრაობის უწყისი
თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მოთხოვნი კაპიტალი
2023 წლის 1 იანვარი	629 044	6 081 058	6 710 102
სხვა სრული შემოსავალი		1 926 153	1 926 153
სხვა სრული შემოსავალი			-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1 926 153	1 926 153
გაცემული დივიდენდები	-	(989 474)	(989 474)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(91 200)		(91 200)
2023 წლის 31 დეკემბერი	537 844	7 017 737	7 555 581
წლის სრული შემოსავალი		2 137 230	2 137 230
სხვა სრული შემოსავალი			-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	2 137 230	2 137 230
გაცემული დივიდენდები	-	(24 805)	(24 805)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(537 426)		(537 426)
2024 წლის 31 დეკემბერი	418	9 130 162	9 130 580

2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს.

მენეჯმენტის სახელით:



დირექტორი



მთ. ბუღალტერი

7-22 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს აგრონომი-ს მფლობელებსა და დირექტორებს:

პირობითი მოსაზრება

მე ჩავატარე შპს აგრონომი-ს („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩემი აზრით, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხისა, მოცემული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების მცირე და საშუალო საწარმოების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივარ. მე ვერ შევძელი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ასევე მე ვერ შევძელი აღნიშნული მარაგების ღირებულების სისწორეში დარწმუნება. ვინაიდან მარაგების ნაშთები, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, მე ვერ შევძელი იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებში ასახული მოგების და შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივარ. მე ვერ შევძელი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფლობილი ძირითადი საშუალებების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ასევე მე ვერ შევძელი აღნიშნული ძირითადი საშუალებების ღირებულებების სისწორეში დარწმუნება. ვინაიდან ძირითადი საშუალებების ნაშთები, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, მე ვერ შევძელი იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებში ასახული მოგების და შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩემი პასუხისმგებლობა განმარტებულია ამ ანგარიშის ქვეთავში

„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. მე ვმოქმედებდი კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩემს მიერ შესრულებული ეთიკური

ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ-ის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. მეი ღრმა რწმენით, მე მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულები არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩემი ამოცანაა, მოვიპოვო იმის საფუძველიანი რწმუნებულება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, გავცე ჩემი თვალსაზრისის გამოხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძველიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

მე ამოვიცნობ და ვაფასებ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავ და ვატარებ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩემი დასკვნის. რისკი იმისა რომ ვერ აღმოვაჩინო თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია, ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიო შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნი წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ ვულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება, იმავედროულად, მოპოვებული აუდიტორული

მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩემი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, მე ვალდებული ვარ, ჩემ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გაავაზვილო ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალო კიდეც დასკვნა. ჩემი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.


- ვაფასებ ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, მე ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დავით კილაძე

აუდიტორი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-552198



2025 წლის 1 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს აგრონომი მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

მე ჩავატარე შპს „აგრონომი“-ს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „აგრონომი“-ს მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „აგრონომი“. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობითი ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორს.


მოსაზრების საფუძველი

მე წარმართავდი აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩემი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩემი აზრით, ჩემს მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩემი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩემი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

დავით კილაძე
აუდიტორი



2025 წელი, თბილისი, საქართველო